ზურაბ აბაშიძე

სკოლის მართვის აქტუალური საკითხები

/დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის/

ბათუმი
2009

ნაშრომში მოცემულია სკოლის მართვისა და ხელმძღვანელობის ორგანიზაცია და შინაარსი, პრინციპები, მეთოდები, ფორმები და ფუნქციები, სოციალურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები.

იგი შეიძლება გამოიყენონ მასწავლებლებმა, სტუდენტებმა, მეცნიერ მუშაკებმა, აგერთვე ამ პრობლემით დაინტერესებულმა პირებმა.

რედაქტორი თამაზ წულუკიძე-პროფესორი.

რეცენზენტები:

1. ნინო ბერიძე
   განათლების აკადემიური დოქტორი

2. აკაკი ზოიძე
   ბათუმის შოთა რუსთაველის
   სახელმწიფო უნივერსიტეტის
   დოქტორანტი-პედაგოგიური მეცნიერების
   დეპარტამენტის უფროსი მასწავლებელი.

შესავალი

განათლების რეფორმის განხორციელების შედეგად და საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წელს მიღებული კანონი ზოგადი განათლების შესახებ ითვალისწინებს სკოლის უფლებების გაზრდას. მე-20 საუკუნეში არსებული ზოგადი განათლების სისტემა ეფუძნებოდა ისეთ მოდელს, რომელიც ორიენტირებული იყო მართვის ცენტრალიზებულ სტრუქტურაზე. ახალი კანონი გასაქანს აძლევს დეცენტრალიზებულ-დემოკრატიულ ადმინისტრირებას, პროფესიონალიზმს. ტრადიციული სწავლების პედაგოგიკა შეიცვლება კრიტიკული და შემოქმედებითი პედაგოგიკით, რომლის დროსაც პრიორიტეტულია შეძენილი ცოდნის გამოყენებადობა და კრიტიკული აზროვნება. სასწავლო პროცესი ინტელექტუალურ და ესთეტიკურ სიამოვნებას უნდა ანიჭებდეს როგორც მოსწავლეს, ისე მასწავლებელს.

ახალი კანონმდებლობით სკოლა საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რომელსაც აქვს ოფიციალური საბანკო ანგარიში, რომელზეც თავს მოიყრის სკოლის მთელი ფინანსები: როგორიცაა სახელმწიფო დაფინასება, ვაუჩერი, ნებაყოფლობითი შემოწირულებები.

სკოლათმცოდნეობის სახელმძღვანელო რამდენიმე ათეული წელია ცალკე წიგნად არ გამოცემულა, ამიტომ მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სტუდენტებისათვის დამხმარე სახელმძღვანელოდ ამ ნაშრომის გამოცემა. სადაც განხილულია თანამედროვე სასკოლო ცხოვრების მართვის აქტუალური საკითხები.

ავტორი ყველა შენიშვნას და სურვილებს სიამოვნებით მიიღებს.

თავი I სკოლათმცოდნეობის შინაარსი
§1 სკოლამთცოდნეობის საგანი

სკოლათმცოდნეობა არის პედაგოგიკის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი, რომელიც შეისწავლის სასკოლო საქმიანობის ორგანიზაციის საკითხებს, განსაზღვრავს და ამუშავებს სკოლის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, სკოლის მართვისა და ხელმძღვანელობის შინაარსა და მეთოდებს, განიხილავს სკოლის მუშაობის ძირითად მიმართულებებს, როგორიცაა:

1) საყოველთაო სწავლის კანონის განხორციელება
2) სასწავლო პროცესის ორგანიზაცია
3) აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაცია.
4) სკოლის მუშაობის მიმდინარეობა.
5) პედაგოგიური კადების შერჩევა და კვალიფიკაციის ამაღლება.
6) მატერიალური ბაზის განმტკიცება.
7) დაფინანსების პრინციპები.
8) სკოლის მუშაობის დოკუმენტაცია.
9) კომპიუტერიზაცია.
10) სამეურნეო საბჭოს საქმიანობა
11) პედაგოგიური საბჭოს მუშაობა.
12) სასკოლო კათედრების მუშაობა
13) მშობელთა სათათბიროს მუშაობა
14) მოსწავლეთა თვითმართველობის მუშაობა.
15) გარანტის მოპოვების ასპექტები
16) სკოლის ანგარიშგება და ა.შ.

სკოლათმცოდნეობა იძლევა სასკოლო მუშაობის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს.

სკოლათმცოდნეობის მეთოდოლოგიური საფუძვლებია პეადგოგიკის კლასიკოსთა შრომები, სწავლების, აღზრდის და მართვის საკითხებზე საქართველოს კანონები, დადგენილებები, დებულებები, წერილები, საარქივო მასალები. აპრობილებული მეთოდები სკოლის განვითარების საკითხებზე.

სკოლათმცოდნეობის ძირითადი წყაროებია.

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ;
3. სასწავლო გეგმები, პროგრამები და სახელმძღვანელოები;

4. გამოცდილება სასკოლო აღზრდის განათლებისა და მართვის საკითხებზე;
5. მასწავლებლის მუშაობის შედეგები;
6. პედაგოგიური ლიტერატურა.

სკოლათმცოდნეობის შესწავლის საგანია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, სკოლის მართვისა და განალების ორგანოების მუშაობის შინაარსი.

სკოლათმცოდნეობის შესწავლის მიზანია, სათანადო დახმარება გაუწიოს სკოლის მასწავლებლებს, ხელმძღვანელებს, სკოლის მართვის პრობლემის განსაზღვრის საქმეში.

სკოლათმცოდნეობის კვლევის მეთოდებია
1. დაკვირვება;
2. ექსპერიმენტი;
3. სასკოლო დოკუმენტების შესწავლა;
4. ინტერვიუ, საუბარი;
5. ისტორიული მეთოდი;
6. პარტოგრაფიული მეთოდი;
7. მათემატიკური მეთოდი;
8. ეკონომიკური მეთოდი;
9. ეკოლოგიური მეთოდი;
10. ალგორითმული მეთოდი;
11. დისტანციური მეთოდი;
12. შედარებითი ანალიზის მეთოდი.

სკოლათმცოდნეობის დარგებია:
1. ზოგადი სკოლათმცოდნეობა, რომელიც თეორიული კურსია და
2. კერძო სკოლათმცოდნეობა, რომელიც პრაქტიკული კურსია და მოცემულია რეკომენდაციები სკოლის განვითარების შესახებ.

სკოლათმცოდნეობა დაკავშირებულია ისეთ დარგებთან, როგორიცაა ფსიქოლოგია, სოციოლოგია, ეკონომიკა, გეოგრაფია, ისტორია, დიდატქიკა, სასწავლო საგანთა მეთოდიკები, პედაგოგიკის ისტორია, ფილოსოფია, სამართალმცოდნეობა და სხვა.

§2 სკოლის სტრუქტურა და ამოცანები

განათლების რეფორმის განხორციელების შედეგად თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებო სკოლა არის სამ საფეხურიანი.
1. დაწყებითი განათლების საფეხური მოიცავს I-VI კლასებს.
2. საბაზო განათლების საფეხური-VII-IX კლასებს.
3. საშუალო განათლების საფეხური –X-XII კლსებს.

1) დაწყებითი განათლების საფეხურის –I-VI კლასების მთავარი ამოცანაა საფუძველი შეუქმნას მოსწავლის ჰარმონიული განვითარების, ხელი შეუწყოს მისი ნიჭის, უნარის, მიდრეკილებების და სხვა ინდივიდუალურ თავისებურებათა გამოვლენას.

დაწყებითი სკოლა საბაზო სკოლასთან ერთად არსებული ან დამოუკიდებლად მდებარე სასწავლო დაწესებულება, რომლის დამთავრების შემდეგ, მოსწავლე სწავლას აგრძელებს საბაზო სკოლაში.

2) საბაზო სკოლის, რომელიც მოიცავს VII_IX კლასებს, მთავარი ამოცანაა მოსწავლეებს მისცეს ზოგადი განათლება ყველა იმ დისციპლინაში, რომელიც სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად ამ საფეხურებისათვის არის გათვალისწინებული. საბაზო განათლების ეტაპზე მოსწავლეები ეუფლებიან მეცნიერებათა საფუძვლებს, სასწავლო დისციპლინების სავალდებულო საგანმანათლებლო მინიმუმს, ხდება სწავლის მოტივაციის ფორმირება. მოსწავლის ნიჭისა და მიდრეკილების შემდგომი გამოვლენა განვითარება, მასში დამოუკიდებელი ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარება.

3) საშუალო სკოლის რომელიც მოიცავს X-XI-XII კლასებს, მიზანია მოამზადოს ახლაგაზრდები შრომის საქმიანობაში ჩასაბმელად და უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად. ამ საფეხურის გავლით დასრულდება საშუალო განათლების მორალური და ფიზიკური მომზადების დონით უზრუნველყოფილი ადამიანი, რომელიც მზად უნდა იყოს დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად. საშუალო განათლების მისაღებად სწავლების პროცესი ხორციელდება, როგორც სკოლებში ისე გიმნაზიასა და ლიცეუმში, გიმნაზია წარმოადგენს ორსაფეხურიან ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებლის, რომლის თითოეული საფეხური სამ-სამ წლიანია. გიმნაზია მოსწავლეს აძლევს ფართო განათლების ძირითად სასწავლო დისციპლინებში. გიმნაზიის კურსდამთავრების უფლება აქვს სწვლა გააგრძელოს უმაღლეს სასწავლებელში.

ლიცეუმი-წარმოადგენს პროფილურ სასწავლებელს, რომელშიც სამი წლის განმავლობაში მე-10 მე-12 კლასები, ახლგაზრდას შეუძლია მიიღოს პროფილური განათლება. ლიცეუმის კურსდმთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს უმაღლეს სასწავლებელში.

თავი 11. სკოლის მართვის აქტუალური საკითხები

§1. სკოლის მართვის ფუნქციები.

მართვა-სოციალური მოვლენაა, რომელიც უკავშირდება სასწავლო საგანმანათლებლო სამეცნიერო ეკონომიკურ-კულტურულ ცხოვრებას. მართვის პროცესი შედგება ოთხი ურთიერთდაკავშირებული ფუნქციისგან. ესაა:

1) დაგეგმვა. 2) ორგანიზაცია; 3) მოტივაცია და კონტროლი.

დაგეგმვა არ წარმოადგენს ერთჯერად პროცესს, იგი იცვლება ორგანიზაციის საქმიანობის შედეგების მიხედვით.

დაგეგმვა მრავალჯერადი პროცესია, რომელიც სრულდება გადაწყვეტილების მიღებით.

ორგანიზაცია გულისხმობს რაიმე სტრუქტურის შექმნას.

მოტივაცია ეს არის იმ მეთოდების ერთობლიობა, რომელიც სტიმულს აძლევს პერსონალის უკეთ შეასრულოს თავისი მოვალეობა.

კონტროლი აუცილებელია იმისათვის რომ ორგანიზაციამ ნამდვილად მიაღწიოს თავის მიზანს. კონტროლი მიმართულია წარმოება-დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის.

გეგმის შესრულების შედეგები ნიშნავს რომ წარმოებამ იმუშავა მიზანმიმართულად-გეგმაზომიერად, დამოუკიდებლად და პასუხისმგებლურად.

-**მართვის დემოკრატიზაცია** გულისხმობს სკოლის მართვას დემოკრატიული მეთოდებით სადაც მონაწილეობას მიიღებს ყველა მასწავლებელი სასკოლო ცხოვრების, თავისუფალი აზრის, გამოხატვით. უნდა ვმართოთ სასწავლო პროცესის არსი. აღმზრდელობითი მუშაობას, მატერიალური ბაზის განვითარება, მოსწავლითა და მასწავლებელთა ურთიერთობა.

მართვის ჰუმანიზაცია გულისხმობს ადამიანთა ისეთ თანამშრომლობას, სადაც გამოხატულია კეთილი, ერთეული ტოლერანტი, ოპტიმალური პატრიოტ მოქალაქეობრივი განწეობა.

§2. სკოლის მუშაობის გეგმიანობა.

სკოლის მართვისა და ხელმძღვანელობისათვის საჭიროა შემდეგი სახის გეგმები.

1. სასკოლო სასაწავლო გეგმა;
2. პერსპექტიული სამუშაო გეგმა;
3. წლიური სამუშაო გეგმა;
4. აღზრდელობითი მუშაობის გეგმა;
5. სასკოლო საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმა;
6. სამეურვეო საბჭოს სამუშაო გეგმა;
7. პედაგოგიური საბჭოს სამუშაო გეგმა;
8. კლასის ხელმძღვანელის სამუშაო გეგმა;
9. მშობელთა სათათბიროს სამუშაო გეგმა;
10. მოსწავლეთა თვითმართველობის გეგმა;
11. მოსწავლეთა ასოცირებისა და კლუბების გეგმა;
12. მატერიალური ბაზის განმტკიცების გეგმა;

13. დაფინანსების გეგმა;
14. ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმა;
15. პედაგოგთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების გეგმა.

სკოლის სასწავლო გეგმას ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომელსაც განიხილავს სკოლის ორგანოები, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დირექცია, კათედრები და თითოეული საგნის მასწავლებელი, სასწავლო გეგმის შეცვლის უფლება სკოლას არა აქვს.

სკოლაში სასწავლო საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის მიხედვით, რომლის საფუძველზე აიგება გაკვეთილების ცხრილი.

სკოლის პერსპექტიული სამუშაო გეგმას ადგენს სკოლის დირექტორი, თავის მოადგილეებთან ერთად, რომელიც შეიძლება იყოს მრავალწლიანი, პერსპექტიული გეგმაში გათვალისწინებული იქნება შემდეგი სახის ღონისძიებანი.

1. მატერიალური ბაზის განმტკიცება;
2. საკადრო პოლიტიკით უზრუნველყოფა;
3. სკოლის კომპიუტერიზაცია;
4. სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის ძირითადი მიმართულებების შემუშავება.
5. მოსწავლეთა კონტიგენტის განსაზღვრა.

სკოლის წლიურ სამუშაო გეგმას შეადგენს დირექტორი და მოადგილეები. პედაგოგთა აზრის გათვალისწინებით. წლიური სამუშაო გეგმა შეიძლება შევადგინოთ შემდეგი მიმართულებით.

1. მატერიალური ბაზის განვითარება.
2. საბაზო და საშუალო განათლების კანონის განხორციელებისათვის ზრუნვა.
3. სასწავლო პროცესის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა. სასწავლო გეგმის მიხედვით.
4. ზრუნვა სასწავლო გეგმისა და პროგრამების შესრულებისათვის საგანმანათლებლო სტანდარტის გათვალისიწნებით.
5. აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსი და ორგანიზაცია.
6. მოსწავლეთა აკადემიური შედეგების შესწავლა.
7. პედაგოგიურ კადრებთან მუშაობა.
8. მშობლებთან მუშაობა.
9. პედაგოგიური საბჭოს მუშაობა
10. მეთოდური მუშაობა
11. სკოლის ორგანოებთან მუშაობა
12. განათლების ორგანოებთან თანამშრომლობის მიზანმიმართულება

სკოლის წლიური სამუშაო გეგმა სასწავლო წლის ------ ცხოვრების სამოქმედო პროგრამა.

§3 სკოლის მართვის სტრუქტურა

თანამედროვე პირობებში სკოლის მართვის სტრუქტურული ერთეულებია:

1. სამეურვეო საბჭო
2. დირექცია
3. პედაგოგიური საბჭო
4. მოსწავლეთა თვითმართველობა.

განსაკუთერბით მნიშვნელოვანია სამეურვეო საბჭოსა და დირექტორის როლი სკოლის ცხოვრებაში. სკოლის მასწავლებლებს საშუალება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ სკოლის მართვაში, სამეურვეო საბჭოს დახმარებით-ითანამშრომლონ სკოლის დირექციასთან კანონის უზენაესობის პრინციპების დაცვით. /იხ.ნახ1/



ნახ.1

§3.1. სამეურვეო საბჭოს ამოცანები და ფუნქციები

სამეურვეო საბჭო იღებს პასუხისმგებლობას სკოლის წარმომადგნელებთან ერთად იმის განსაზღვრაში თუ რა საქმიანობა უნდა დაიგეგმოს სკოლაში, რა სჭირდებათ მოსწავლეებს, როგორია საზოგადოების მოთხოვნა, ხოლო სკოლის დირექტორი პასუხისმგებელია სკოლაში მიმდინარე საქმიანობის წარმატებით განხორციელებაზე.

სამეურვეო საბჭო პასუხისმგებელია უზრუნველყოს სკოლაში მიმდინარე პროცესების საჯაროობა და გამჭირვალობა. მიაწოდოს ინფორმაცია პედაგოგებს. მშობლებს, მოსწავლეებს, სკოლის მიღწევები და არსებული პრობლემების შესახებ.

სამეურვეო საბჭოს ირჩევენ 3 წლის ვადით. სკოლაში სადაც სწავლობს 500 მოსწავლეზე მეტი სამეურვეო საბჭოში აირჩევა 12 წევრი, ირჩევენ თავმჯდომარეს და მდივანს, ხოლო იმ სკოლებში სადაც სწავლობს 500- მოსწავლეზე ნაკლები ირჩევენ 6 წევრს, 3 მასწავლებელი, 3 მშობელი და ერთი მოსწავლე -----.

სამეურვეო საბჭო ასრულებს შემდეგ ფუნქციებს.

1. ირჩევს სკოლის დირექტორის სიითი შემადგენლობის უმრავლესობიდან, რომელსაც რეგისტრაციაში ატარებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და დებს მასთან ხელშეკრულებას და საჭიროების შემთხვევაში შეუწყვეტს ხელშეკრულებას.

2. სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს და აკონტროლებს დირექციის მიერ ფინანსების ხარჯვას და ქონების განკარგვას.

3. განიხილავს სკოლის სასწავლო გეგმას.

4. ეთანხმება მასწავლებელთა მიერ სახელმძღვანელოების გამოყენების ნუსხის შედგენაზე.

5. განიხილავს საშტატო განრიგს.

6. განიხილავს დაამტკიცებს სკოლის დირექტორის მიერ წარდგენილ მოადგილეთა კანდიდატებს.

§3.2. სკოლის დირექტორის ამოცანები და ფუნქციები

თანამედროვე სკოლას ჭირდება ისეთი დირექტორი, რომლის მიწოდებაა გააუმჯობესოს საგანმანათლებლო გარემო, უზრუნველყოს სკოლაში მიმდინარე პროცესებში საზოგადოების მონაწილეობა. მან უნდა შეძლოს კოლეგებთან, სამეურნეო საბჭოს წევრებთან, თანამშრომლობა, იცნობდეს მათ ინტერესებსა და ღირებულებებს, პატივს სცემდეს მათ უფლებებს.

სკოლის დირექტორი პასუხისმგებელია შემდეგი ამოცანების შესრულებაზე.

1. სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმის და განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის შესრულებაზე.

2. სასწავლო-სააღმშენებლო პროცესის სრულყოფაზე და დემოკრატიული პრინციპებით წარმართვაზე.

3. ფინანსების მიზნობრივ ხარჯვაზე.

4. მასწავლებელთა კადრების შერჩევასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე.

5. სკოლის დირექტორი ანგარიშვალდებულია საქართველოს განათლების სამინისტროს საზოგადოების წინაშე.

6. დირექტორი შეიმუშავებს საშტატო განრიგს და გააფორმებს ხელშეკრულებას თითოეულ მასწავლებელთან.

7. შეიმუშავებს სკოლის ბიუჯეტს, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს და ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს აბარებს ანგარიშს ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის შესახებ.

8. ზედამხედველობს სკოლაში მიმდინარე სასწავლო სააღმზრდელო პროცესს.

9. საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში გამოსცემს სამართლებრივ აქტებს.

§3.3 სკოლის წარმატებული დირექტორი.

სკოლის წარმატებული დირექტორი არის პიროვნება რომელსაც გააჩნია ჯანსაღი ხედვა, საქმიანობების მიზნობრივად დაგეგმვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების კარგი უნარი. მას უნდა შეეძლოს სკოლის ხედვა და მისი ჩამოყალიბება, ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესუსრსების ეფექტური მართვა. ამასთან დირექტორს უნდა ჰქონდეს.

1) გადაწყვეტილების მიღების უნარი;
2) თანამშრომლების მოსმენის უნარი;
3) დემოკრატიული მართვის უნარი;
4) ადგილზე არსებული შესაძლებლობები აღმოჩენისა და გამოყენების უნარი;
5) ცვლილებათა შეგუების უნარი.
6) მუშაობისათვის მზაობა;
7) მდგრადობის უნარი სტრესული სიტუაციების მიმართ;
8) კონფლიქტურ სიტუაციაში დარეგულირების უნარი.

განათლების სფეროს თანამშრომელთა მოსაზრებებით წარმატებული დირექტორი უნდა იყოს.

1. მოტივირებული.
2. მენეჯერი;
3. დემოკრატიული ლიდერი;

4. ენერგიული;
5. პროფესიონალი
6. განათლებული;
7. მიზანსწრაფული;
8. გაწონასწორებული;
9. მეურნე;
10. შრომისმოყვარე;
11. უყვარდეს ბავშვები;
12. ნოვატორი;
13. სამართლიანი

ჰქონდეს:
1. ურთიერთობის კულტურა;
2. სკოლის განვითარების სტრატეგიული ხედვა.
3. კონფლიქტების მართვის უნარი.
შეეძლოს:
1. ეფექტური სასწავლო გარემო შემდეგზე;
2. ადამიანური რესურსების მართვა;
3. პროექტების მართვა;
4. ფინანსების მოძიება.

სკოლის დიერქტორს უნდა ჰქონდეს როგორც ლიდერის ასევე კარგი მართველის უნარჩვევები. სკოლის ლიდერის მიწოდებაა გაუმჯობესოს საგანამანათლებლო გარემო. ლიდერობა ნიშნავს კოლეგებთან თანამშრომლობას. ლიდერს უნდა ესმოდეს მათი, იცნობდეს მათ ინტერესებს, და ღირებულებებს და პატივსცემდეს მათ უფლებებს. უნდა ჰქონდეს სკოლის ეფექტური მართვის უნარი.

სკოლას ჭირდება კარგი ლიდერი და კარგი ხელმძღვანელი.

-ლიდერს შეუძლია ახალი იდეები მიაწოდოს კოლეგებს და აღძრას საქმისადმი ინტერესი.-მართველს შეუძლია კარგად დაგეგმოს და განახორციელოს სხვადასხვა პროექტები და პროგრამები.

§3.4. სკოლის დირექტორის მოადგილეები და მათი ფუნქციები.

სკოლის დირექტორის მოადგილეები აირჩევიან სამეურვეო საბჭოს მიერ რექტორთან შეთანხმებით.

დირექტორის მოადგილეებად ითვლებიან:
1) მოადგილე სასწავლო დარგში;
2) მოადგილე აღზრდელობითი მუშაობის დარგში;
3) მოადგილე სამურნეო მუშაობის დარგში;
4) მოადგილე საფინანსო მუშაობის დარგში ანუ ბუღალტერი.

დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში ხელმძღვანელობს სასწავლო მეთოდურ მუშაობს, ადგენს გაკვეთილების ცხრილს, თუმცა ზოგიერთ სკოლაში ცხრილს შეადგენს ცხრილის მენეჯერი.

სწავლობს საგნის მასწავლებელთა მუშაობის შედეგებს. იგი ანგარიშვალდებულია სკოლის დირექტორისა და სამეურვეო საბჭოს წინაშე.

დირექტორის მოადგილე აღზრდელობითი მუშაობის დარგში ხელმძღვანელობს კლასგარეშე და სკოლის გარეშე აღმზრდელობით მუშაობას, რომელიც წინასწარ შედგენილი გეგმის საფუძველზე მიზანმიმართულად და სისტემატიურად წარმართვას აღზრდელობით მუშაობას, კორდინაციას უწევს კლასის ხელმძღვანელთა საქმიანობას.

დირექტორის მოადგილე სამურნეო მუშაობის დარგში უზრუნველყოფს სკოლაში არსებული ქონების დაცვას. იგი ანგარიშვალდებულია დირექტორისა და სამეურვეო საბჭოს წინაშე.

დირექტორის მოადგილე საფინანსო დარგში უზრუნველყოფს მასწავლებელთა ხელფასებისა და მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის საფინანსო ხარჯებს.

3.5 სკოლის პედაგოგიური საბჭო

სკოლის პედაგოგიური საბჭო არის მოსწავლეთა სათათბირო ორგანო, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში 4-ჯერ. ატარებს სხდომას სკოლის ყველა მასწავლებელი პედაგოგიური საბჭოს წევრია, რომლებიც ხმის თანაბარი უფლებით სარგებლობენ.

ახალი კანონმდებლობით პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა სამი წლის ვადით.

პედაგოგიური საბჭო განიხილავს ისეთ საკითხებს როგორიცაა.

1. წლიური სასკოლო სასწავლო გეგმა.
2. სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხა.
3. განიხილება მასწავლებელთა წლიური დატვირთვა.
4. იხილავს თითოეული სასწავლო საგნის სწავლების მდგომარეობას.
5. განიხილავს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მდგომარეობს.
6. განსაზღვრავს მოსწავლეთა არასაგაკვეთილო დროის ორგანოების პრინციპებს.
7. აჯამებს წლის მანიძლზე სასწავლო სააღმზრდელო მუშაობის შედეგებს.
8. შეაჯამებს მასწავლებელთა სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

3.6 მოსწავლეთა თვითმართველობა.

სკოლაში იქმნება მოსწავლეთა თვითმართველობა და მოსწავლეთა კლუბები. მოსწავლეთა თვითმართველობას ხელმძღვანელობს არჩეული პრეზიდენტი. პრეზიდენტი აირჩევა საბაზო და საშუალო განათლების საფეხურებიდან ცალ-ცალკე X-XII კლასებიდან არჩეულ პრეზიდენტს აქვს ხმის უფლება სამეურვეო საბჭოში. მოსწავლეთა თვითმართველობა შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესის შესახებ. მოსწავლეთა თვითმართველობა უფლებამოსილია მიაწოდოს სამეურვეო საბჭოს წინადადებები სკოლისათვის ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით.

3.7. მოსწავლეთა კლუბები

მოსწავლეთა კლუბი წარმოადგენს მოსწავლეთა გაერთიანებას საერთო ინტერესების მიხედვით. კლუბი შეიძლება შეიქმნას ნებისმიერ საფეხურზე და ის უნდა აერთიანებდეს 5 წევრს. კლუბის საქმიანობა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. სამეურვეო საბჭო განსაზღვრავს, რა სახის შეიძლება იყოს მოსწავლეთა-თვითმართველობა.

§4. მასწავლებლის როლი სკოლის მართვაში.

სკოლის მართვის პრობლემის მოგვარების საქმეში მნიშვნელოვანია მასწავლებლის პიროვნების ავტორიტეტი, უნარი, ცოდნა, ტაქტი, ჰუმანიზმი, სამართლიანობა. მსოფლმხედველობა, პასუხისმგებლობა. მასწავლებლის უფლებებია:

1. ყველა მასწავლებელი პედაგოგიური საბჭოს წევრია.
2. სამეურვეო საბჭოს ნახევარი შედგება მასწავლებლებისაგან.
3. მასწავლებელი მონაწილეობს სასწავლო პროგრამების განხილვა-დამტკიცებაში.
4. მასწავლებელი თავად ირჩევს სახელმძღვანელოებს.
5. გეგმავს სასწავლო პროცესს;
6. მასწავლებლის მინიმალური ხელფასი განისაზღვრება შემდეგი ასპექტებით.

1. განათლების ცენზიით.
2. პედაგოგიური გამოცდილებით.
3. ჩატარებული გაკვეთილების რაოდენობით.
4. საათობრივი დატვირთვით.
5. თვითგანვითარებისათვის დახარჯული საათების რაოდენობით.

6. მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობისათვის დახარჯული საათების რაოდენობით.

მასწავლებელი სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის წამყვანი ფიგურა, რომელიც სხვადასხვა მეთოდებით წარმართავს სწავლებას და აღზრდას.

§5. განათლების სისტემის მართვის პრინციპები.

პრინციპი ლათინური სიტყვაა და ქართულად ნიშნავს ამოსავალ სახელმძღვანელო დებულებას, რომელსაც პიროვნება იყენებს თავისი მიზნის მისაღწევად განათლების სისტემის მართისათვის.

საქართველოს განათლების სისტემა ვითარდება რამდენიმე პრინციპის მიხედვით:

1. სახელმწიფოებრიობის პრინციპი;
2. ყოვლადფენობრიობის პრინციპი;
3. ფუნდამენტალობის პრინციპი;
4. მემკვიდრეობითობის პრინციპი;
5. დაფინანსების პრინციპი;
6. კადრების შერჩევის პრინციპი;
7. საჯაროობის პრინციპი.

უმაღლესი სკოლის სახელმწიფოებრიობის დანიშნულებაა უზრუნველყოს ქვეყანა საჭირო და აუცილებელი ხარისხიანი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი კადრების მომზადებით. კადრების მომზადების სისტემა-ნაციონალური უსაფრთხოების საკითხიცაა, სუვენერული, ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყანაა-ეს არის თავისი კადრების პოტენციალის თვითკმარებული ქვეყანაა.

<u>ყოვლად ფენობრიობის პრინციპი-</u> ეს არის ქვეყნის ძირითადი მორალური ნორმა სამამულო უმაღლესი სკოლისა. საქართველოს სასკოლო და უმაღლესი განათლების მთელი ისტორიაა, ეს არის ისტორია მთლიანობაში წარმატებული სახალხო ბრძოლა თანაბრად ხელმისაწვდომობის ქვეყნის ნებსიმიერი მოქალაქისათვის მიუხედავად მისი მდგომარეობის და ფენობრივი წარმოშობისა განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობისათვის.

უმაღლესი განათლების ფუნდამენტალობა ეს არის განათლების პროცესისა და მეცნიერული ცოდნის ერთიანობა, რომელიც საშუალებას აძლევს განათლებულმა ადამიანმა გაიგოს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ბუნებისა და საზოგადოების კანონებით, რომლის იგნორირება არავის არ შეუძლია, მათი დარღვევა დაბალი განათლებულობისა და უზნეობის მიერ მეცნიერებაში გარშემომყოფთათვის მეტად სახიფათოა, ეტალონურ განათლებად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ფუნდამენტალურ,

მეცნიერული განათლება, რომლის მთავარი მიზანია მეცნიერული ცოდნის, როგორც მსოფლიო შემადგენელი კულტურის გავრცელება.

ისტორიულად განპირობებულია, ის რომ როცა საქართველო შევიდა თავისი მეცნიერული განვითარების პერიოდში, მსოფლიო მეცნიერებამ უკვე შეიძინა ორგანიზებული თეორიული ცოდნის ფორმა, ამიტომაც საქართველომ აღიქვა მსოფლიო მეცნიერება მისი უმაღლესი განვითარების ფაზაში ქართველებმა იმ თავითვე დავიწყეთ მეცნიერულად აზროვნების სწავლა და სტუდენტების სწავლება იაზროვნონ მთლიანობითი, ფუნდამენტალური თეორემით და პრაქტიკაში იმოქმედონ ასეთი ფუნდამენტალური ცოდნით მიღების მეთოდების შესაბამისად, ამ საფუძველზე აღმოცენდა ჩვენი აკადემიური მეცნიერება, უნივერსიტეტები, ინსტიტუტები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, სწორედ ესაა ქართული განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტრადიცია, რომელიც ეხლა დემოკრატიული პრინციპით ვითარდება.

განათლება საზოგადოებაში არაერთგვაროვნად განიმარტება. საქართველოში-ამჟამად 300-ზე მეტი სხვადასხვა ფორმის უმაღლესი სასწავლებელია, ყველა ისინი ერთი და იმავე ტიპის დიპლომებს გასცემდნენ. დღეს მნიშვნელოვანია ცნებას, განათლებას დიდი მნიშვნელობა მივანიჭოთ, იმიტომ, რომ მეცნიერებაში და უმაღლეს ტექნოლოგიებში წარმოიშვა ღრმა დარღვევები, რომლებიც შეიძლება მაღალგანვითარებულმა ადმინისტრაციებმა გამოიყენეონ.

<u>გაშიფრულია გენით</u> –არსებობს ჰიპოთეზა, რომ რთულ ბიოლოგიურ სისტემებს ადამიანის ჩათვლით გააჩნია პროგრამა სიკვდილის შესახებ, ამ ჰიპოთეზაზე ახლა აქტიურად მუშაობენ ჩვენი ბიოლოგები, იხსნება სიკვდილისა და სიცოცხლის საიდუმლოებანი.

<u>თანამედროვე ფიზიკამ</u>- აღმოაჩინა მიკრო სამყაროს მეტად გასაოცარი თვისებები, რამდენიმე მსხვილ ლაბორატორიაში შესაძლებელი გახდა მატერიის ახალი მდგომარეობის მიღება-ე.წ. კვარ გლუონური პლაზმა, ამ აღმოჩენაში დიდი როლი ითამაშეს ჩვენმა მეცნიერებამაც. მსოფლიო დგას მატერიის შიგნითა ფანტასტიკურ აღმოჩენების წინაშე.

იქმნება-სრულიად ახალი პრინციპულად განსხვავებული სისტემები- <u>სუპერგამომთვლელები</u>, სამუშაოები მსოფლიოს უდიდეს ლაბორატორიებში იქმნება, ასეთ სუპერკომპიუტერებს <u>ტერაფლონურებს</u> უწოდებენ. მათ უშვებენ ამერიკის აშ.შ-ში და იაპონიაში-და რუსეთში, ჰორიზონტზე გამოჩდნენ ისეთი კომპიუტერებიც, რომლებიც აგებული არიან ახალ კვანტურ პრინციპზე, კვანტურის ხაზით გადაცემული შეტყობინებისას არც კოპირება, არც გაშიფვრა, არც მოპარვა არ არის შესაძლებელი, მეცნიერები მიუახლოვდნენ ინტელექტების პრობლემათა ახლებურად გადაჭრის საკითხებს. ღრმა ცვლილებებს განიცდის თანამედროვე ჰუმანიტარული ცოდნაც. ადამიანის ფსიქიკის, აზროვნების, ურთულესი საზოგადოებრივი სისტემის მართვის ნაციონალური ეკონომიკებით მოითხოვენ ღრმა ფუნდამენტალურ ცოდნას-ასეთ განათლებას შეიძლება ეწოდოს

„ეტალონური“-მის პროპაგანდას და რეალიზაციაში ლიდერის როლი ყოველთვის ეკავათ უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებს, ისინი განსაზღვრავენ განათლების ჩარჩოთა სიმაღლეს მთელი განათლების სიტემებისათვის, საქართველოსათვის ლიდერს ქმნიდნენ, ჩვენ გვაქვს ასეთი უნივერსიტეტები და ინსტიტუტები ეხლა მთავარია მათი განვითარება.

ჩვენ ვამზადებთ კადრებს, პედაგოგებს, ეკონომისტებს, გვჭირდება მოვამზადოთ მენეჯმენტი, ბიზნესმენი, ტექნოლოგიები საკანდიდატო დისერტაციების შედგენისათვის ხარისხი ენიჭებათ ტექნიკურ, ჰუმანიტარულ საზოგადოებრივი ინტელექტუალური პოტენციალი უნდა იყოს დომინირებადი. მსოფლიოში ყოველწლიურად განახლდება თეორიული ცოდნის 5%, და გამოყენებითი ცოდნის 20%. ამერიკელები ამას მიხვდნენ, მათ შექმნეს <u>ნაციონალური კომისია,</u> რომელმაც ანალიზი გაუკეთა თანამედროვე მეცნიერებასა და განათლებას აშშ-ბში, კომისიამ გააკეთა დასკვნა, ამერიკა ისევე როგორც 40 წლის წინათ, მსოფლიოში პირველი თანამგზავრის გაშვების შემდეგ აღმოჩნდა გამოწვევის წინაშე. პროგნოზირდება, რომ აშშ-ბის მცხოვრები 20-25 წლის შემდეგ აღმოჩნდებიან უმწეონი, დროთა მოთხოვნილების წინაშე, რა არის ამის მიზეზი? კომისიის აზრით ამის მიზეზი არის მოსწავლეთა სუსტი მათემატიკური და საბუნებისმეტყველო მომზადება და შესაბამისად სპეციალისტებისაც. გამოცხადებულია სპეციალური პროგრამა წელიწადში 5 მილიარდი დოლარის ოდენობით.

კომისიის მოხსენება პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის პროგრამის საფუძველი გახდა, საინტერესოა ამ პროგრამის ეპიგრაფი, ფედერალური მთავრობა უნდა ემსახურებოდეს არა სისტემას, არამედ ბავშვებს, სამწუხაროდ ჩვენში მიმდინარეობს პროცესები, რომელსაც განათლება დეფუნტალიზაციამდე მიჰყავს, სკოლაში მცირდება საბუნებისმეტყველო საგანთა ციკლი, წარმოიქმნება ე.წ. „კენტავრები“ ფიზიკიდან, ქიმიიდან, ბიოლოგიიდან, იგივე ხდება ჰუმანიტარულ ციკლთან მიმართებაში. შეკოწიწებული რაღაც საგანი. საზოგადოებათმცოდნეობა, რომელიც სხვადასხვა დისციპლინებისაგან შეწებებული, უკვე მზად არის ჩვენი განათლების ახალი განმანათლებელი სტანდარტები ამასთან მიმართებაში. როგორი სტანდარტების შედგენაა საჭირო?

ადგილობრივი განათლების ორგანოთა ერთ-ერთ მოხსენებაში იყო ფრაზა „ეხლა ჩვენი სფეროს მასწავლებლებმა უნდა გამოვიჩინოთ მაქსიმალური გულისხმევა, რათა მისცენ მოსწავლეებს ცოდნის მინიმუმი.

აუცილებელია რომ ჩვენი განათლების ხარისხი განისაზღვრება სტადარტების შინაარსიით, ეს კი განათლების განვითარების სტადარტული საკითხია. ახალმა სტადარტებმა უნდა გადაწყვიტოს მოსწავლეთა გადატვირთვის შესახებ, ამ საკითხის დასმის მთავარ მოტივად აღიქმება საუბარი მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ, თითქოს და მათთვის დაუძლეველი დატვირთვის გადაულახობის მიზეზით ეყრდნობიან სხვადასხვა გამოკვლევების შედეგებს. მეც დავეყრდნობი ერთ-

ერთ მათგანს. ეს არის საერთაშორისო პროგრამა T1M35 გამოვლენები, რომელიც 1995-1999 წლებში ჩატარდა, შედეგები ასეთია: საშუალო სასწავლო დატვირთვის მოცულობამ წელიწადში –გაკვეთილების სუფთა დრო 38 ქვეყანაში, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ ამ გამოკვლევაში შეადგინა 1022 საათი. მოსწავლეთა ჯანმრთელობის გაუარესება გამოწვეულია 90-იან წლებში ცხოვრების ხარისხის დაცემით, სურსათით ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებით.

მხოლოდ მოსწავლეთა ღრმა საფუძვლიანი მომზადება გაუხსნით მათ გზას ხარისხიან უმაღლესი განათლების მიღებისაკენ.

ფუნდამენტალური, ეკონომიური განათლების თემასთან მჭიდრო კავშირში იმყოფება წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების თემაც, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები ახორციელებენ დიად მისიას კულტურული ცხოვრებისათვის. სულიერი ცხოვრებისათვის თავიანთ ცალკეული რეგიონებში, კერძოდ, თბილისში, აჭარაში, გურიაში, აფხაზეთში, სოხუმში და ა.შ. ცნობილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ბათუმის დ. პედაგოგიური ინსტიტუტი, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი, ოზურგეთის ბიზნესისა და ეკონომიკის ინსტიტუტი და ა.შ.

მათ მოიპოვეს უფლებები იყვნენ წამყვანი თავისი პროფესიონალური საქმეთი ერთიანი სახელმწიფო გამოცდის შესახებ ერთ-ერთი მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ვიპოვოთ ყოვლის დამთავრებისა და უმაღლეს სასაწავლებელში მოხვედრის მეთოდების ფაქტების ფიქსაციის შეთანხმება-ამასთანავე საჭიროა აპრიორი უარი ვთქვათ იმ აზრზე, რომ ასეთი საკითხები შეიძლება გადაიჭრას ადმინისტრაციული ზეწოლით და დაძალებით, დიახ რექტორთა საბჭოს იმის ეშინია, რომ (7)-ს მონოპოლურმა მდგომარეობამ შეიძლება დიდი ზიანი მიუტანოს საქართველოს განათლების სისტემას.

ნიჭიერი ახალგაზრდები არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ცოდნის შეფასების ფორმალიზირებული ფორმით, აუცილებელია ოლიმპიები, შემოქმედებითი კონკურსები და გამოზდათა სხვადასხვა მეთოდები, ამიტომაც ექსპერიმენტის შედეგების შეჯამებისას ეს ყველაფერი გათვალისწინებული უნდა იყოს, მაგრამ ისე არც უნდა იყოს რომ ЕГЭ–ს ჩამბარებელმა ვერ შეძლოს სწავლა უმაღლესი სასწავლებლის პირველ კურსზე.

ჩვენი განათლების სისტემის ფორმირების პროცესში-უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში რამდენიმე შეცდომა იყო, ზარალი უფრო მეტი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო საქართველოს რექტორთა კავშირის მიზანმიმართული და პრინციპული პოზიცია, რომლებმაც მიაღწიეს არ აეშვათ უმაღლესი სასწავლებლების პრივატიზაცია და კიდევ ბევრი რამ.

დღეისათვის განათლების სახელმწიფო სექტორის შემცირება გამართლებულია ახალი თორიული იდეებით. პროფესორ ე. იასნისა და ავტორთა ჯგუფის მიერ მომზადდა მოხსენება თემაზე ,,ეკონომიკური პოლიტიკა და სახელმწიფოს ტვირთი ლიბერალური ალტერნატივა, ავტორები მოდერნიზაციის არსს განათლებაზე სახელმწიფო ხარჯების რადიკალურ შემცირებაში ხედავენ. მაგ. 10000 მცხოვრებლიდან-190 სტუდენტის-170-მდე დაყვანა მოგვცემს 5 (ხუთი) მილიარდი მანეთის ეკონომიკას, დასაშვებია რომ სპეციალისტთა მომზადების სტრუქტურის საბაზრო მოთხოვნილების დონის შესაბამისად, ანუ რიგის სპეციალობების დახურვა ან 9 მათზე მიღების შემცირებამ 10-13 მილიონი სახელმწიფო ბიუჯეტის ეკონომია მოგვცემს. ЕГЭ-ГИФО-ს სისტემის შემოღებამ ავტორთა გამოთვლებით კიდევ 10 მილიონი მანეთის ეკონომიას მოგვცემს. ე.ი. მხოლოდ დასახელებული სამი პოზიციის მიხედვით საბიუჯეტო სახსრების ეკონომია განათლების სფეროში მოგვცემს 25-28 მილიონი მანეთის ეკონიმიას.

ავტორთა პოზიცია ბიუჯეტზე დატვირთვის შემცირების შესახებ გასაგებია, ჩვენ ვცხოვრობთ ახალ ეკონომიკურ სისტემაში, განათლებამ მოთხოვნილებისა და წინადადებების მექანიზმი უნდა გაითვალისწინოს, ამასთან ერთად როგორც სხვა ქვეყნების საბაზრო ეკონომიკის ცდები გვიჩვენებენ, სახელმწიფო შეუძლებელს აკეთებს განათლების შესაძლებელი პრიორიტეტული მხარდაჭერისათვის, ამიტომ თუ ზემოხსენებულ მიდგომას მივიღებთ ეს აღნიშნავს სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა რაოდენობის შემცირებას, ეს ყველაფერი კი განათლების სახელმწიფო სექტორის შესუსტებას გამოიწვევს, რომელიც ЕГЭ-ГИФО-ს საბიუჯეტო სტუდენტ პროექტირებულ არადაფინანსებას შეეხება.

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად ყველას აქვს უფლება კონკურსის საფუძველზე უფასოდ მიიღოს უმაღლესი განათლება სახელმწიფო ან მუნიციპალურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში და წარმოებაში.

თანამედროვე პირობებში განათლების სისტემა საჭიროებს მუდმივ მოდერნიზაციას, რომელსაც უნდა გააჩნდეს ღრმად მოფიქრებული და ბალანსირებული ხასიათი საქართველოს პირობებისა და ტრადიციების გათვალისწინებით.

მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი თ ო ბ ა პედაგოგიკურ ლიტერატურაში ერთგვაროვნად არ არის გაგებული. ერთი თვალსაზრისით, მემკვიდრეობითობა განიხილება როგორც საგანთა (მეტწილად მონათესავე) შორის კავშირი სწავლების პროცესში (მაგალითად, კავშირები ფიზიკასა და მათემატიკას შორის, მათემატიკასა და ხაზვას შორის, III დ IV კლასის, IV და V კლასების მათემატიკის საგნებს შორის და ა.შ.

მეორე თვალსაზრისით, მემკვიდერობითობა არის მუდმივად უცვლელი, ერთგვაროვანი მომთხოვნელობა მოსწავლეებისადმი ერთი კლასიდან მეორეში გადასვლისას.

მესამე თვალსაზრისით, მემკვიდრეობითობა გულისხმობს ამა თუ იმ საგანაში ადრე მიღებული ცოდნის გამოყენების აუცილებლობის ამავე საგნის შესწავლის შემდგომ საფეხურზე.

ყველა ამ თავლსაზრისის მიხედვით მემკვიდრეობითობა განიხილება როგორც გარკვეული და აუცილებელი კავშირი, მაგრამ ასეთი კავშირი წარმოდგენილია ზედაპირულად და ვერ გამოხატავს მემკვიდრეობითობის ძირითად დამახასიათებელ ნიშნებს. მეტიც, მეტწილად ეს კავშირი ხასიათდება მეორეხარისხოვანი დეტალებით და ვერ ხსნის სწავლების პროცესის სიღრმისეულ თავისებურებებს. ზოგჯერ ეს კავშირი დამკვიდრებულ ტრადიციებთან არის გათანაბრებული.

მემკვიდრეობითობის ყველაზე მართებული განმარტება, ალბათ, ასეთია: მემკვიდრეობითობა არის კავშირი მოვლენათა შორის, განვითარების პროცესში, როდესაც ახალი ხსნის რა ძველს, თავისთავში ინახავს მის ზოგიერთ ელემენტს. მემკვიდრეობითობა დიალექტიკის ერთ-ერთი გამოვლინებაა (უარყოფის კანონი, რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივ ცვლილებებში გადასვლის კანონი).

თუ მემკვიდრეობითობის განსაზღვრის ასეთ ფორმას მივიღებთ, მაშინ მემკვიდერობითობა მრავალვარიანტული სასკოლო განათლების სისტემაში, ძირითადად ზემოაღნიშნული მესამე თვალსაზრისის მიხედვით უნდა განვიხილოთ.

როგორც ითქვა, მემკვიდრეობითობა (მესამე თვალსაზრისით) გულისხმობს ამა თუ იმ საგანში ადრე მიღებული ცოდნის გამოყენების აუცილებლობას ამავე საგნის შესწავლის შემდგომ საფეხურზე. ამასთან, გათვალისწინებულია დიალექტიკის ზემოაღნიშნული კანონის მოქმედების სპეციფიკა.

მემკვიდრეობითობა მრავალვარიანტულ საგანმანათლებლო სისტემაში ორი მნიშვნელობით უნდა განვიხილოთ: ზოგადი კავშირებისა და პროცესუალური კავშირების მნიშვნელობით.

მემკვდირეობითობა, როგორც ზოგადი კავშირების განხორციელება, უზრუნველყოფს სასწავლო შინაარსის მთლიანობას, ამ შინაარსის განვითარების ლოგიკას სწავლების პროცესში.

განათლების სხვადასხვა საფუძველზე და სხვადასხვა ტიპის სკოლაში საგანთა სიმრავლე ერთმანეთთან დაკავშირებულია ერთი საერთო პრინციპით-მოვლენის ან ობიექტის შემეცნების სიღრმე განსაზღვრავს განათლებულობის დონეს. ამიტომ, ამა თუ იმ ტიპის სკოლაში ესა თუ ის საგანი შინაარსობრივად იმ დონეზეა აგებული, როგორც ამა სკოლის საგანმანათლებლო და სოციალური დაკვეთა მოითხოვს. თუ მოსწავლე სპეციალიზირებულ ჰუმანიტარულ კოლეჯში ან ლიცეუმში სწავლობს, მაპროფილებელი საგნების გარდა, სხვა სასწავლო დისციპლინებს ნაკლები

სირთულის შინაარსის მიხედვით ეუფლება. მაგრამ ნაკლები სირთულის შინაარსი იმდენად არის აგებული, რომ იგი ნებისმიერ დროს შეიძლება უშუალოდ გადაიზარდოს უფრო რთულ შინაარსში. ტრადიციულად, სასწავლო საგნის შინაარსის ამგვარ აგებას სწავლებაში მეცნიერულობის პრინციპსაც უწოდებენ და სწორედ პრინციპი უზრუნველყოფს მემკვიდრეობითობას.

ამ თვალსაზრისით, მრავალვარიანტულ სასკოლო განათლების სისტემის მთლიანობის შენარჩუნება თითქმის შეუძლებელია ყველა ტიპის სკოლაში საგანათა ერთნაირი სიმრავლის გარეშე. ეს ასე არ არის. მემკვიდრეობითობა რომ არ დაირღვეს, აუცილებელია არა სასწავლო ობიექტური სამყაროს შესახებ დიფერენცირებული ცოდნის მთელი სპექტრის შესაძლებლობისა და საჭიროების მიხედვით ფოკუსირება. ამიტომ, ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული საგანთა ინტერესების პრაქტიკა, ცალკეული სასწავლო დისციპლინათა შინაარსის გამარტივება (სიძნელის დონის შემცირება) და არა მექანიკური შემცირება, რაც კიდევ უფრო ართულებს შესწავლილ ცოდნის მთლიანობას და ქმნის გარკვეულ აკადემიურ საფეხურს, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს, სურვილის შესაბამისად, გადაინაცვლოს შემდეგ, უფრო მაღალ საფეხურზე.

სისტემის მთლიანობის შენარჩუნების თვალსაზრისით, არანაკლებ მნიშვნელოვანია მემკვიდრეობითობა, როგორც პროცესუალური კავშირები. ამ კავშირებს შორის დავახასიათებთ რამდენიმე არსებით კავშირს.

მემკვიდრეობითობა და განმეორება. სწავლების ნებისმიერ საფეხურზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება განმეორებას.

განმეორება, თავისი არსით, უკვე შეძენილი ცოდნის აღდგენა-განმტკიცებას გულისხმობს, მაგრამ სწავლების პროცესში მას ახალი ცოდნის დებულებისათვის ხელშეწყობის ფუნქცია აკისრია. ამიტომ არის იგი მემკვიდრეობითობის პრინციპის გამოვლენა.

ტრადიციულ სკოლაში გამეორების რამდენიმე სახე არსებობს. კერძოდ: 1. გამეორება მეცადინეობის დაწყებამდე; 2. გამეორება სასწავლო წლის დასაწყისში, 3. მიმდინარე განმეორება გაკვეთილის პროცესში. 4. თემის გამეორება შეფასების წინ, 5. წლიური გამეორება, 6. გამეორება გამოცდებისათვის მზადების პროცესში. გამეორების სახეების ასეთ სიმრავლეს რომ წააწყდა, ერთმა მეცნიერმა წამოიძახა: „საშინელებაა! ამ დაუსრულებელი გამეორების ნაცვლად, ნუთუ არ შეიძლება ისე ვასწავლოთ მასალა, რომ არ დაავიწდეს?“ ეს შეიძლება მთლად ასეც არ იყოს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ყოველგვარი გამეორება როდი უზრუნველყოფს მემკვიდრეობითობის პრინციპის ხორცშესხმას. თუ გვსურს, რომ მემკვიდრეობითობა მართლა განხორციელდეს, გამეორება ორგანულად უნდა ჩაერთოს ახალი თემის შესწავლის პროცესში და არ უნდა გადაიქცეს ერთი და იმავე სავარჯიშოს მექანიკურ გამეორებად.

მემკვიდრეობითობა და პროპედევდიკა. პროპედევდიკა, ყველაზე ზოგადი გაგებით, არის რომელიმე მეცნიერების შესავალი კურსი. იგი

კურსის შედარებით ელემენტარული ფორმით გადმოცემას გულისხმობს. სწავლების პროცესში პროპედევდიკა გარკვეულად განსხვავებულ შინაარს იძენს. სწავლებაში პროპედევდიკის საკითხი დგება მაშინ, როდესაც წარმოიშობა სიძნელეები ზოგიერთი ცნების ჩამოყალიბებას ან რომელიმე თემის მეტისმეტად კონცენტრირებულად გადმოცემისას. მემკვიდრეობითობის სწორად გაგება დაგვეხმარება გამოვყოთ თემის არსებითი ნაწილები და ისე განვალაგოთ, რომ აშკარა გახდეს კავშირები შესასწავლ ელემენტებს შორის.

საგრძნობი მეცნიერული კვლევები და პრაქტიკული ღირებულებების ნაშრომები შემოგვთავაზეს მეცნიერებმა: გ. ჩაჩანიძემ, ქ. ნანობაშვილმა, თ. ჩხარტიშვილმა და სხვებმა. მათ მიერ დამუშავებული და პრაქტიკულად რეალიზებული, რამდენიმე სასწავლო-შემეცნებითი სისტემა მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, გეოგრაფიაში, ასტრონომიაში და სხვა. აღნიშნულმა სისტემებმა წარმატებით გაიარეს გამოცდა სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების პრაქტიკაში სათანადო აღიარებაც მოიპოვეს.

§6. სკოლის დაფინანსების პრინციპები.

სახელმწიფო აფინანსებს მოსწავლეს 12 წლის განმავლობაში, თუ მოსწავლემ ვერ დაძლია სასწავლო პროგრამა. ადგილობრივი მართველობის ორგანოს შეუძლია გამოყოს დამატებითი ხარჯები. ყველა ბავშვი სკოლის ასაკის მიღწევასთან ერთად მიიღებს ვაუჩერს, რომელიც შეუძლია განათავსოს მისთვის სასურველ სკოლაში.

ვაუჩერი-წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ მოსწავლის ან მშობლებლისათვის გაცემულ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს მოსწავლის უფლებას-მოიპოვოს სახელმწიფო დაფინანსება ზოგადი განათლების მისაღებად. ვაუჩერის ღირებულება განისაზღვრება გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით სკოლების კატეგორიზაციის რეალური პირობებიდან გამომდინარე. ქალაქად ვაუჩერის თანხობრივი კოეფიციენტი განისაზღვრება 1-ით, ხოლო სოფლად 1,5-ით მაღალმთიან რეგიონებში 1,8-ით. ამ გზით სახელმწიფო უზრუნველყოფს განათლების თანაბარ პირობებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რითაც შეინარჩუნებს მცირეკონტიგენტიან სკოლებს და ხელს შეუწყობს მასწავლებლის მოზიდვას მაღალმთიან რეგიონებში.

მოსწავლის ვაუჩერი მოიცავს შემდეგ ხარჯებს:

1. მასწვლებლის ხელფასი

2. გადამზიდების ხარჯები
3. საოფისე ხარჯები
4. კომუნალური გადასახადები

ვაუჩერი არ მოიცავს სკოლის კაპიტალური რემონტის ხარჯებს. მას დააფინანსებს სახელმწიფო ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

ამგვარად სკოლის დაფინანსება დამოუკიდებელია მოსწავლეების რაოდენობაზე, რაც უფრო მეტ მოსწავლეს მოიზიდავს სკოლა, მით მეტი სახსრები მოიყრის თავს მის ბიუჯეტში. ეს გაზრდის კონკურენციას სკოლებს შორის. თითოეული სკოლა შეეცდება უკეთესი სასწავლო გარემო და მაღალი ხარისხის ცოდნა შესთავაზოს მოსწავლეებს.

გრანტების-მოპოვება სკოლის მიერ თანამედროვე სკოლა სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე აძლევს საშუალებას სკოლას ჰქონდეს დამოუკიდებელი საბანკო ანგარიში, რომელზეც მას შეუძლია მიიღოს ნებისმიერი სახის შემოწირულობა თუ გრანტი, მათ შორის ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავალი. სკოლა ამ ხარჯებს თავად განკარგავს საჭიროებისამებრ.

დირექტორს აქვს უფლება მოიზიდოს სკოლისათვის მეტი სახსრები ურთიერთობები დაამყაროს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ არსებულ სკოლებთან, ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონკრეტული პროგრამის განხორციელების მიზნით.

§7. კონტროლი სკოლის ფინანსების განკარგვაზე.

სკოლის ფინანსების შემოსავლებისა და გასავლის განკარგვაზე კონტროლს ახორციელებს შემდეგი ორგანოები:

1. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
2. სამეურვეო საბჭო
3. მშობელთა სათათბირო
4. ადგილობრივი მართველობის ორგანოები.
5. განათლების რესურს ცენტრი.

§8. მოსწავლეთა ცოდნის დონის შემოწმება- შეფასების ახალი სისტემა.

განათლების რეფორმის განხორციელების შედეგად სკოლის მოსწავლეთა ცოდნის დონის შემოწმების შეფასების ახალი სისტემა იცვლება ახალი 10-ქულიანი სისტემით.

პირველ. მეორე, მესამე და მეოთხე კლასებში წლიური შეფასება ხდება ჩათვლების სისტემით, ხოლო მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე10, მე-11, მე-12, კლასებში მოსწავლეთა შეფასება ხდება 10 (ათ) ქულიანი სისტემით.

მოსწავლე თითოეული შესავლის ბოლოს იღებს მესამედურ შეფასებას წლის ბოლოს მასწავლებელი სამივე მესამედის შეფასების საფუძველზე საგანში საბოლოო ნიშანს წერს. არადამაკმაყოფილებელი შეფასება 1.2.3.4.5. ქულა დადებითი შეფასება-6.7.8.9.10.ქულა. კერძოდ 6 ქულა=3, 7 ქულა=3,5, 8 ქულა=4. 9 ქულა =4,5 10 ქულა=5.

საერთო წლიური ნიშნის გამოთვლის წესი.

საგანი	პირველი	მეორე	მესამე	საბოლოო შეფასება საგანში
	მ ე ს ა მ ე დ ი			
ქართული ენა	3	8	8	7
მათემატიკა	7	6	8	7
ბუნება	7	5	10	7
ხელოვნება	4	5	7	5.1
რელიგია	3	4	5	4
საერთო წლიური ნიშანი	ნიშნების ჯამი გაყოფილი			
	ნიშნების რაოდენობაზე			

საგალდებულო საგნების სწავლება
საფეხურების მიხედვით

კლასი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
მაქსიმალური											
დასაშვები											
ასტრონომიული											
საათები	3	4	4	4	4	5	5	5	6	5	6

მესამედის შეფასების ნიშნის შემდეგი კომპონენტების ერთ ერთი ნიმუშია.

1. საკონტროლო წერა-20%
2. წერითი დავალება -25 %
3. პრეტენზია-25%
4. გაკვეთილზე -30%
   მსჯელობა

თავი III -**განათლების შინაარსი**

განათლების შინაარსში აისახება საზოგადოების სოციალური გამოცდილება და კულტურა. სოციალური გამოცდილება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს.

1) ცოდნა სამუშაოს შესახებ.
2) უნარი და ჩვევები, მოქმედების წესები.
3) შემოქმედებითი საქმიანობის გამოცდილება.
4) ემოციური ღირებულებითი დამოკიდებულება სამყაროსადმი, ერთმანეთისადმი.

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ მეცნიერულად დასაბუთებული განთლების შინაარსის მოცულობა, აუცილებელია გავიგოთ თუ როგორია განათების შინაარსის ძირითადი ფაქტორები.

განათლების შინაარსის ძირითადი ფაქტორებია:

1) მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის, განვითარების დონე.
2) განათლების მიზანი და ამოცანები.
3) მოსწავლის პიროვნების მოთხოვნილებანი.

განათლების შინაარსმა უნდა განსაზღვროს როგორც მიმდინარე ისე საზოგადოების პერსპექტიული მოთხოვნები, ასევე ადამიანის აღქმის თავისებურებანი, უპასუხოს მეცნიერულობის მოთხოვნებს, იგი უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებაში მიღებული განათლების კონცეფციას.

განათლების შინაარსი აისახება სასწავლო გეგმებში, სასწავლო პროგრამებში სახელმძღვანელოებში.

სასაწავლო გეგმა-ეს არის სახელმწიფო დოკუმენტი რომელსაც ადგენს და ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომლის შეცვლის უფლება სკოლასა და მასწავლებელს არა აქვს. სასწავლო გეგმაში მოცემულია საგნების ჩამონათვალი, საათების კვირეული და წლიური რაოდენობის ჩვენებით სკოლის თითოეული კლასისათვის.

სასაწავლო პროგრამა-განსაზღვრავს სასწავლო საგნის შინაარს და ემსახურება მასწავლებლის მუშაობის განსაზღვრულ ნორმატივებს, რომელიც შედგება რამდენიმე ნაწილისაგან.

1. განმარტებითი ბარათი, რომელშიც ჩამოყალიბებულია კურსის მიზანი და ამოცანები.
2. თემების, საკითხების, ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობის, დემონსტრირების, ექსკურსების ჩამონათვალებისაგან.
3. ინტეგრირებული სწავლების მითითებისაგან.
4. მოსწავლეთა ცოდნისა და უნარისადმი მოთხოვნისაგან.

სასწავლო პროგრამაში განისაზღვრება ცოდნის უნარისა და ჩვევების მოცულობა და შინაარსი. წარმოჩნდება მისი ცალკეული თემის არსი, საათების რაოდენობა.

სახელმძღვანელო ეს არის ცალკეული სასწავლო საგნის შინაარსის სისტემური გადმოცემა, სახელმძღვანელოები ასახავენ, ერთის მხრივ, განათლების მდგომარეობის ცოდნას ამა თუ იმ დარგში, მეორე მხრივ გავლენას ახდენენ მასზე.

სახელმძღვანელო ასრულებს რამდენიმე ფუნქციას:

1. მოტივაციური-რაც აისახება აღქმის განვითარებაში.
2. საინფორმაციო-რომლის საშუალებით ფართოვდება
3. საგარჯიშო როცა ხდება თვითგანალების ჩვევების ჩამოყალიბება

სახელმძღვანელოს წაეყენება შემდეგი მოთხოვნები:
რომელიც ეხება მის სტრუქტურას, შინაარს და ფორმას.

1) ესაა მეცნიერული სიზუსტე;
2) ობიექტურობა;
3) ახალი დოკუმენტაციისა და მონაცემების გამოყენება;
4) ილუსტრაციების მაღალი ხარისხი;
5) მათი დამაჯერებლობა და შესასწავლ მასალასთან შესაბამისობა.

თანამედროვე პირობებში მიმდინარეობს ახალი ტენდენცია სასწავლო გეგმის პროგრამირებასა და სახელმძღვანელოების შემუშავებაში. მასწავლებელს უფლება აქვს დაამუშაოს შეადგინოს სასწავლო პროგრამა, ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელო, გამომდინარე სასწავლო გეგმიდან. დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობიდან. ევროპული მოდელიდან, მაგრამ ეროვნული ღირებულების გათვალისწინებით.

ქვემოთ ვიძლევით სასწავლო გეგმას, რომელიც შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2010-2011 სასწავლო წლისათვის.

თავი IV-განათლების სისტემა.

განათლების სისტემა-სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული საგანმანათლებლო აღმზრდელობითი დაწესებულებათა ერთიანობაა. იგი მოიცავს შემდეგ დაწესებულებებს.

1. სკოლამდელ აღზრდა განათლებას.
2. ზოგად საშუალო განათლებას
3. სახელობით განათლებას.
4. საშუალო პროფესიულ განათლებას

5. უმაღლეს განათლებას.

სკოლამდელი დაწესებულებების ძირითადი ტიპებია: საბავშვო ბაღი, რომელთა ამოცანაა ბავშვის ჰარმონიული აღზრდის და განვითარების უზრუნველყოფა, მათი ჯანმრთელობის დაცვა და განმტკიცება, სკოლაში სწავლისათვის მომზადება.

ზოგადი საშუალო განათლების დაწესებულებათა ტიპებია: ზოგადსაგანამანთლებლო 12 წლიანი სკოლა, გიმნაზია, ლიცეუმი. ნიჭიერი ბავშვები, პანსიონები, ბალეტთა სკოლები, საავტორო სკოლა, რაინდა სკოლა.

სახელობო მომზადების სასწავლებლებია: საამშენებლო, სადურგლო, საავტომობილო სკოლები, სადაც მოსწავლეები სწავლობენ 3 თვეს, 6 თვეს, 1 წელს, 2 წელს.

პროფესიული განათლების ტიპებია, უმაღლესი პროფესიული სასწავლებლები, კოლეჯები, მაგ. პედაგოგიური კოლეჯი, სამედიცინო კოლეჯი, ეკოლოგიური სკოლა.

უმაღლესი სასწავლო საგანმანათლებლო დაწესებულებათა ტიპებია:

ინსტიტუტი, უნივერსიტეტი, აკადემია. ინსტიტუტი შეიძლება იყოს დარგობრივი მაგალითად პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც ამზადებს მასწავლებლებს. სამედიცინო ინსტიტუტი ამზადებს ექიმებს. ეკონომიკის ინსტიტუტი-ამზადებს ეკონომისტებს.

უნივერსიტეტი-არის მრავალპროფილიანი უმაღლესი სასწავლო სამეცნიერო დაწესებულება რომელიც ამზადებს სხვადასხვა დარგის სპეციალსიტებს, იურისტებს, პედაგოგებს, ექიმებს, ბიზმესმენებს, უმაღლესი განათლება სამ საფეხურიანია, ესაა ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა არის 4, 5-6 წლიანი. მაგისტრატურის საგანამანათლებლო პროგრამა არის 2 წლიანი, ხოლო დოქტორანტურის საგანამანათლებლო პროგრამა არის 3-5 წლიანი. განათლების სისტემის განვითარება და მართვა წარიმართება დემოკრატიული პრინციპების დაცვით.

§4.1. განათლების პრინციპები

განათლების პრინციპებად მიჩნეულია:

1) სწავლება მშობლიურ ენაზე

2) განათლების მიღებაში ყველა მოქალაქის თანასწორობა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, რელიგიური აღმასრულებლობის, ქონებრივი და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად,

3) განათლების სავალდებულო ხასიათი ყველა ბავშვისა და მოზარდისათვის საბაზო სკოლის ფარგლებში და საყოველთაო საშუალო XII წლიანი განათლების მიღება.

4) სტუდენტთა ფასიანი და უფასო განათლება, სტუდენტთა სტიპენდიით უზრუნველყოფა და მათთვის სხვა მატერიალური დახმარების აღმოჩენა.

5) განათლების სისტემის ერთიანობა, ყველა ტიპის სასწავლო დაწესებულებათა მემკვიდრეობა, რაც უზრუნველყოფს სწავლების დაბალი საფეხურიდან მაღალ საფეხურზე გადასვლას.

6) სწავლებისა და აღზრდის ერთიანობა, ბავშვებისა და ახალგაზრდობის აღზრდაში სკოლის, ოჯახის და საზოგადოების თანამშრომლობა.

7) სწვლებისა და აღზრდის კავშირი ცხოვრებასთან.

8) განალების მუდმივი სრულყოფა მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის უახლოეს მიღწევათა საფუძველზე.

9) განათლებისა და აღზრდის ჰუმანური და მაღალი ზნეობრივი ხასიათი.

10) ორივე სქესის ბავშვთა ერთად სწავლება.

11) სწავლებაში ასაკობრივი ინდივიდუალური და სქესობრივი თავისებურებების გათვალისწინება.

თავი V-განათლების ორგანოები

§1. განათლების რესურსცენტრები

რესურსი ფრანგული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს მარაგს, სიმდიდრეს, რესურსი შეიძლება იყოს ბუნებრივი, სოციალური, ეკონომიკური, რომლებიც მოემსახურებიან განათლების კულტურის, მეცნიერების და მეურნეობის სხვა დარგებს. განალების რეფორმის თანახმად საქალაქო და რაიონული განათლების განყოფილების ნაცვლად ჩამოყალიბდა რესურსცენტრები შიქმნა საქართველოს ყველა რეგიონში კერძოდ 25-სკოლაზე გათვასლისწინებულია ერთი რესურს ცენტრის შექმნა.

რესურს ცენტრის სტრუქტურული ერთეულებია:

1. ადმინისტრაცია
2. იურიდიული სამსახური
3. საფინანსო განყოფილება
4. საინფორმაციო განყოფილება

5. პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება
6. სასწავლო-საგანამანათლებლო პროგრამის განყოფილება.
7. უზრუნველყოფის განყოფილება

განათლების რესურს ცენტრები შეასრულებენ შემდეგ ფუნქციას:

1. გაუწევენ კორდინაციას და მუდმივ მორიტორინგს-საგანამანათლებლო-აღზრდელობითი სახელოვნებო და სპორტის დაწესებულებებს.
2. დაარეგულირებენ ადგილზე წარმოქმნილ ფინანსურ და იურიდიულ დავებს ეს პროცესი მხოლოდ რესურს ცენტრის იურისტის კონსულტაციით შემოიფარგლება.
3. ხელს შეუწყობენ პედაგოგთა გადამზადების და სკოლებში საგანამანათლებლო პროგრამის დანერგვას.
4. შეიქმნა ერთიანი საინფორმაციო ცენტრები და სკოლებში არსებული ვაკანსიებზე ინფორმაცია რესუსრცენტრებსა და სამინისტროს მიეწოდება.
5. რესუსრ ცენტრის ხელმძღვანელობას შეუძლია საჭიროებისამებრ ხელშეკრულება აიყვანოს რამდენიმე თანამშრომელი.

§2 განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე, საშუალო განათლების სისტემისათვის განსაზღვრავს ძირითად პრინციპებს:

1. ატარებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას განათლების სფეროში.
2. შეიმუშავებს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.
3. შეადგენს ეროვნული სასკოლო სასწავლო გეგმებს.
4. გვაძლევს მასწავლებელთა საათობრივი დატვრთვის მაქსიმუმს.
5. განსაზღვრავს მასწავლებელთა დაფინანსების წესს.
6. ატარებს მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლების პოლიტიკას.
7. ახორციელებს კონტროლს ფინანსების განკარგვაზე.
8. ახორციელებს კადრების მომზადების სისტემას.
9. ახორციელებს სკოლების ლიცენზირებასა და აკრედიტაციას.
10. განსაზღვრავს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის სტანდარტებს.
11. ადგენს ვაუჩერის გაცემის და გატანის წესსფინანსთა სამინისტროსთან ერთად.
12. რეესტრში ატარებს სკოლის დირექტორებს.
13. ამტკიცებს ზოგადი განათლების დადასტურებულ სახელმწიფო დოკუმენტის ფორმას.
14. აწესებს გრანტებს და სტიპენდიებს ნიჭიერ მოსწავლეთა წახალისების მიზნით.

15. შეიმუშავებს მასწავლებელთა დასაქმების მექანიზმებს.
16. განსაზღვრავს სასწავლო-სააღმზრდელო-სამეურნეო, საკადრო, საფინანსო, საინფორმაციო კომპიუტერული და სხვა სახის საქმიანობის განვითარების ძირითად მიმართულებას.
17. განახორციელებს კონტროლს სასწავლო-სასკოლო და საუნივერსიტეტო ყველა საკითხზე და ა.შ.

§3. განათლების სისტემის მართვის სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები

მართვა ფსიქოლოგიური ასპექტით პიროვნებათშორისი ურთიერთობის რეგულირება. ნებისმიერი სისტემის ეფექტიანობა დამოკიდებულია არა მარტო ცალკეულ მუშაკთა პროფესიულ ოსტატობაზე, არამედ ფსიქოლოგიური, „პიროვნებათშორისი ურთიერთობის ხასიათზე". ფსიქოლოგიური ურთიერთობის ცნება შეიძლება გაანალიზდეს ასეთი კავშირების ჩარჩოში: ობიექტი და სუბიექტი-სუბიექტი, როგორც ერთი, ისე მეორე კავშირებისათვის საერთო იქნება ურთიერთობის აქტივობა, რომლის არსი მდგომარეობს. შემდეგში:

პირველი. მართვის სტრუქტურებისა და მოდელების კონკრეტული შინაარსი უნდა ასახავდეს პიროვნებათაშორის ურთიერთობის სპეციფიკურ თავისებურებებს, რაც მოცემული ქვეყნისა თუ კონკრეტული რეგიონისათვის არის დამახასიათებელი. ეს თავისებურებანი ზოგადისა და კერძოდ ინტეგრირებული შინაარსით უნდა გამოიხატოს.

მეორე. სოციალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს კლიმატი იმაზეა დამოკიდებული, თუ რაზეა ორიენტირებული მართვის სისტემის მიმართულება, სკოლა როგორც იურიდიული პირი ან სოციალური ფენომენი თავის თავში მთელი განათლების სისტემის სტრუქტურის მიკროსქემას მოიცავს. სასკოლო კოლექტივი მოსწავლეთა და მასწავლებელთა სიმბიოზია. სასკოლო კოლექტივი მდიდარი აღმზრდელობითი შესაძლებლობების მქონე ორგანიზმია და, რომ შესაძლებელი იყოს მისი რაციონალური მართვა, საჭიროა ბოლომდე გავაცნობიეროთ მისი შესაძლებლობანი.

განათლების სისტემის მართვა და სკოლათმცოდნეობა პედაგოგიკის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. სკოლათმცოდნეობა შეისწავლის სასკოლო საქმის ორგანიზაციის საკითხებს. ისეთებს როგორიცაა: სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე ხელმძღვანელობა, მასწავლებლის შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაგეგმვა, სკოლის პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო სკოლის მუშაკთა უფლება-მოვალეობანი, სასკოლო დოკუმენტაცია და სხვა.

განათლების სისტემის მართვაში წარმატების საწინადარია მაღალი დონის პრაქტიკული-ორგანიზაციული მუშაობა, კადრების შერჩევა,

მომზადება და განაწილება, დაკისრებული საქმისადმი პასუხისმგებლობა. მეცნიერულ საფუძველზე მართვა მოითხოვს ოპერატიულ და პერსპექტიულ დაგეგმვას. აღრიცხვას, ანგარიშგებას, კონტროლისა და შესრულების შემოწმებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სკოლის მართვის საქმეში.

ეფექტიანი სწავლებისა და სწავლის მართვა

სასწავლო სტილი

ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ჰიპოთეზის დონეზე განვსაზღვროთ, თუ როგორი სწავლაა სკოლასა და კლასში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მრავალი ლიტერატურა და კვლევითი მასალები მასწავლებლების საქმიანობის შესახებ, ჩვენ მაინც ძალიან ცოტა რამ ვიცით, თუ როგორ სწავლობენ ბავშვები. თუ სწავლების ადრეულ ეტაპზე მასწავლებლის მიერ არჩეული სტრატეგია არ ემთხვევა მოსწავლის სწავლის სტილს, საქმე გვაქვს შეუთავსებლობასთან და მოსწავლის მხრიდან მასალის გაგების დეფიციტთან.

მეცნიერები გვთავაზობენ სწავლის ოთხ ძირითად სტილს:

რეფლექტურად მოაზროვნე ადამიანი, (რომელსაც შეუძლია წარმოიდგინოს და აღიქვას)- სწავლობს შეგრძნებებსა და გამოცდილებაზე დაყრდნობით;

თეორეტიკოსი-სწავლობს დაკვირვებითა და ჭვრეტით, სადაც იდეები ძალიან მნიშვნელოვანია;

პრაგმატისტი-სწავლობს აზროვნებით (ფიქრით). მოსწონს პრობლემები და გააჩნია მათი გადაწყვეტის უნარი;

აქტივისტი- სწავლობს კეთებით (ქმედებით).

სწავლის სტილი პირობითი ცნებაა. სტილი შეიძლება შეიცვალოს დროისა და კონტექსტის მიხედვით. არიან ისეთები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ სწავლის ამა თუ იმ სტილს (ან რამდენიმეს ერთად) და არ ცნობენ სწავლის დანარჩენ სტილს. თუ ჩვენ ისეთ სტილს გვათავაზობენ, სადაც თავს კომფორტულად არ ვგრძნობთ, მაშინ ნაკლებად ვართ ჩართული პროცესში და ნაკლებ ეფექტიანად ვსწავლობთ.

მოსწავლის სწავლის სტილის განსაზღვრისას სწორი დიაგნოზის დასმა მასწავლებელს ეხმარება:

1. ოპტიმალური სასწავლო სიტუაციის განსაზღვრაში;
2. შეუფერებელი სასწავლო სიტუაციის თავიდან აცილებაში;
3. ალტერნატიული სტრატეგიების განვითარებაში;
4. სასწავლო საჭიროებებისა და სასწავლო სტილის დაკავშირებაში.

ამავე დროს გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი რამ: როგორც ცალკეულ ინდივიდებს გააჩნიათ სწავლის საკუთარი სტილი, ასევე

მასწავლებლებს აქვთ სწავლების განსაკუთრებული სტილი, ისე, რომ ამას თავადაც ვერ აცნობიერებენ. სწავლის სტილის დიაგნოსტირების გარეშე ადგილი აქვს სრულ შეუთავსებლობას კლასში, ერთი მხრივ, მასწავლებლის სწავლების სტილსა დ მის მიერ არჩეულ სტრატეგიებს და, მეორე მხრივ, მოსწავლის სწავლის სტილს შორის.

სწავლების სტილსა და სასწავლო სტრატეგიების ცვალებადობა დაგეხმარებათ გაზარდოთ მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში. სასურველია, მოსწავლეებს მივცეთ სწავლის ფორმის არჩევის შესაძლებლობა.

მასწავლებლის სწავლების სტილის შეუსაბამობამ მოსწავლის სტილთან და არასწორად შერჩეულმა სტრატეგიამ შეიძლება გამოიწვიოს მოსწავლის ქცევის „ნორმის“ დარღვევა.

მეცნიერები გვთავაზობენ 4 ტიპის მოსწავლეს:

-დაუღალავი, ინტერესიანი, ყურადღებაინი, მაძიებელი;

-დაუზარებლად მომუშავე, ზედმიწევნით ბეჯითი, შრომისმოყვარე;

-დამოუკიდებლად მომუშავე;

-კარგი პარტნიორი-თანამშრომელი.

ყველა მასწავლებელი უნდა იცნობდეს ზემოთ ჩამოთვლილ სწავლის სტილსა და მოსწავლეთა ოთხ ტიპს. მან უნდა გააცნობიეროს, რომ რაოდენობა თითოეულ კატეგორიაში იცვლება იმისდა მიხედვით, თუ სწავლების რომელ სტილს იყენებს თვითონ მასწავლებელი. მეცნიერები გვთავაზობენ მოსწავლეთა ქცევის ისეთ ფორმებს, რომლებიც მათი სწავლის სტილის შეუფერებელი სწავლების სტილისა და სტრატეგიების გამოყენების შედეგია.

მოსწავლის სწავლის უნარი ხშირად არის დამოკიდებული მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ასებულ ურთიერთობაზე. წარმატებული ურთიერთობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იზიარებენ მოსწავლე და მასწავლებელი ერთმანეთის ინტერესებს. მოსწავლის სწავლის სტილის სწორად გაგება მაქსიმალურად უწყობს ხელს ეფექტიანი სასწავლო ურთიერთობის ჩამოყალიბებას. საინტერესოა დავაკვირდეთ, როგორ ირჩევს მოსწავლე სამუშაოდ მეწყვილეს, ჯგუფს, რომელთანაც ის თავს კარგად გრძნობს. ეს ფენომენი შეიძლება აიხსნას სწავლის სტილიდან გამომდინარე.

სწავლის სტილი

სწავლის სტილი ხშირად განისაზღვრება შემდეგნაირად:

1. ჰოლისტი-აკეთებს მთლიან მიმოხილვას, თუ რა უნდა ისწავლოს და რა გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს მთლიანი სურათის შექმნის და არა დეტალების განხილვის შედეგად;

2. ანალიტიკოსი-დეტალურად განიხილავს სასწავლო მასალას და ნაწილ-ნაწილ მიჰყვება, სწავლობს მას;

3. მჭერმეტყველი-სწავლობს სიტყვების, წერისა და ლაპარაკის საშუალებით, მისთვის ადვილია ციტატების გაგება და გამოყენება;

4. წარმოსახვის უნარის მქონე-ადვილად სწავლობს სურათებითა და დიაგრამებით. მათ ურჩევნიათ ტექსტის გახლეჩა და სქემატური იდეების ჩამოყალიბება, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მთავარ იდეებთან.

სასურველია, მოსწავლეებს მივცეთ სწავლის სტილის შესატყვისი ფორმის აჩევის შესაძლებლობა.

სასწავლო სტრატეგიები

სასწავლო სტრატეგიები უნდა ვისწავლოთ და ვასწავლოთ, ზოგიერთი სტრატეგია დაგეხმარებათ ინფორმაციის ორგანიზაციაში, სხვები-დროის, მოტივაციისა და ემოციების მართვაში.

დასკვნები

1. სკოლა შესაძლებელია არსებობდეს იმ პრინციპების მიხედვით, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ბუნებრივი, სოციალური, დემოკრატიული, ეკონომიკური, პოლიტიკური, გლობალური და რეგიონალური პრობლემები.

2. მართვა წარიმართება დემოკრატიული თავისუფალი დამოუკიდებელი საქართველოს მიერ მიღებული კონსტიტუციისა და ცივილიზებული ქვეყნების სტადარტების შესაბამისად.

3. კადრების შერჩევა წარიმართება საკონკურსო შერჩევით და დირექციის ბრძანებითაც.

4. გაუმჯობესდება სწავლებისა და აღზრდის ხარისხი.

5. მართვის პროცესში თანდათანობით დაიხვეწება განათლების შინაარსის სტრუქტურა, სასწავლო გეგმები, პროგრამები, სახელმძღვანელოები.

6. სკოლაში გაიზრდება ქართული ენისა და ლიტერატურის საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიია საათობრივი რაოდენობა და სწავლების ხარისხი.

7. მართვის სტრუქტურა, შინაარსი, ორგანიზაციის სისტემა, ფორმები და მეთოდები ხელს შეუწყობს სკოლის მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლება.

სილაბუსი

სასკოლო სასწავლო გეგმა

№	სასწავლო საგნები	კლასები												
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	სულ
1	ქართულიი ენა	7	7	5	5	4	3	5	5	5	5	5	5	61

2	მშობლიური ლიტერატურა					3	3							
3	უცხოენა(რუსული)	-	-	3	3	3	3	3	3	4	3	3	3	31
4	უცხოენა(ინგლისური.გერმანული)					3	3	4	4	4	3	3	3	27
5	მათემატიკა	5	5	5	5	4	4	4	4	4	5	5	4	54
6	საქ. და მსოფლიო ისტორია							3	3	4	2	3	3	18
7	გეოგრაფია						1	2	2	2	2	3	3	15
8	სამოქალაქო განათლება									2	5			7
9	ბუნებისმეტყველება	4	4	4	4	1								17
10	ბიოლოგია						1	3	2	2	2		3	13
11	ფიზიკა								3	3	3	3		12
12	ქიმია									2	2	2	2	8
13	ფიზ. აღზრდა	3	3	3	3	2	2	2	2	2	2	2	2	28
14	ხელოვნება და შრომა	3	3	3	3			2	2	2	2	2	2	24
15	მუსიკა	2	3	2	2	1	1	2	3	3	5			24
16	მსოფლიო ისტორია							2						2
17	საქ. ისტორია						2							2
18	ხატვა(ხელოვნება)					1	1							2
19	შრომითი სწავლება					1	1							2
20	ინფორმატიკა											1		1
21	გლობალური გეოგრაფია												3	3
22	სულ	24	25	25	25	23	24	32	33	39	41	32	33	356

2009-2010 სასწავლო წელს გათვალისწინებულია საჯარო სკოლის I-XII კლასებში კვირაში ჩატარდეს 356 გაკვეთილი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. განახლებული სკოლა საქართველოს საქ. განათლების სამინისტრო თბილისი 2005 წელი.
2. ა. გობრონიძე-პედაგოგიკა-ბათუმი 1996წ. 200 წელი
3. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ თბილისი 2004წ.
4. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ თბილისი 2004წ.

5. მოსიაშვილი თამარ სამეურვეო საბჭოს და სკოლის დირექტორის თანამშრომლობა თბილისი 2007 წელი.
6. ვახტანგ სართანია-განათლების ეკონომიკა თბილისი 2001 წელი.
7. ჟურნალი პოლიტიკა №12 თბილისი 2004 წელი.
8. ჟურნალი მასწავლებელი№4-თბილისი 2008 წელი.

შესავალი ---------- 3

თავი I. სკოლათმცოდნეობის შინაარსი
§1 სკოლათმცოდნეობის საგანი 4
§2 სკოლის სტრუქტურა და ამოცანები 5
თავი II. სკოლის მართვის აქტუალური საკითხები
§1 სკოლის მართვის ფუნქციები 6
§2 სკოლის მუშაობის გეგმიანობა 7
§3 სკოლის მართვის სტრუქტურა ერთეულები ---------- 8
§3.1. სამეურვეო საბჭოს ფუნქციები 9
§3.2. სკოლის დირექტორი 10
§3.3 სკოლის წარმატებული დირექტორი 11
§3.4 სკოლის დირექტორის მოადგილეები და მათი ფუნქციები 12
§3.5. სკოლის პედაგოგიური საბჭო 13
§3.6. სკოლის მოსწავლეთა თვითმართველობა 13
§3.7. მოსწავლეთა კლუბები 13
§4. მასწავლებლის როლი სკოლის მართვაში მართვაში 14
§5 სკოლის მართვის პრინციპები 15
§6. სკოლის დაფინასნების პრინციპები 27
§7 კონტროლი სკოლის ფინანსების განკარგვაზე 28
§8 მოსწავლეთა ცოდნის დონის შემოწმება შეფასების ახალი სისტემა 29
თავი III. განათლების შინაარსი 31
თავი IV განათლების სისტემა 32
თავი V განათლების პრინციპები
თავი V –განათლების ორგანოები
§1 განათლების რესუსრცენტრი 33
§2 განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 34
§3 განათლების სისტემის მართვის სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები 35

§4 სწავლებისა ად სწავლის მართვა 37
დასკვნები ---------- 39
სასკოლო სასწავლო გეგმა(საათობრივი ბადე) 40
გამოყენებული ლიტერატურა---------- 41